შპს „ჯორჯია ჰოსპიტალიტი მენეჯმენტ გრუპ გუდაური“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	*2021*	*2020*
შემოსავალი სასტუმრო მომსახურებიდან	4	946	2,602
საპროცენტო შემოსავალი		-	27
სასტუმრო მომსახურების ხარჯი	5	(652)	(1,847)
იჯარის ხარჯი		(56)	(357)
სახელფასო ხარჯი		(643)	(1,322)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		**(405)**	**(897)**
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		56	23
უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი წმინდა ზარალი		75	(120)
ზარალი მოგების გადასახადის ხარჯის გაწევამდე		**(274)**	**(994)**
მოგების გადასახადი		–	–
ზარალი და სხვა სრული შემოსავალი წლის მანძილზე		**(274)**	**(994)**

ხელმოწერილია კომპანიის მენეჯმენტის სახელით:

გენერალური დირექტორი _____ ანდრეი ვლასოვი

მთავარი ბუღალტერი _____ ნინო ფერაძე

27 სექტემბერი, 2022წ.

6-10 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნები	*2021*	*2020*
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		509	411
სავაჭრო მოთხოვნები და სხვა აქტივები	6	96	177
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	880	–
სულ აქტივები		**1,485**	**588**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		500	60
დაგროვილი ზარალი		(1,261)	(987)
სულ საკუთარი კაპიტალი		**(761)**	**(927)**
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		202	–
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		2,044	1,515
სულ ვალდებულებები		**2,246**	**1,515**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**1,485**	**588**

6-10 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	*დაგროვილი ზარალი*	*სულ საკუთარი კაპიტალი*
2020 წლის 1 იანვარი	–	**7**	**7**
წლის ზარალი	–	(994)	**(994)**
წლის მთლიანი სრული ზარალი	–	**(994)**	**(994)**
მშობელი კომპანიის მიერ ნაღდი ფულით შენატანი კაპიტალში	60	–	**60**
2020 წლის 31 დეკემბერი	**60**	**(987)**	**(927)**
წლის ზარალი	–	(274)	**(274)**
წლის მთლიანი სრული ზარალი		**(274)**	**(274)**
მშობელი კომპანიის მიერ ნაღდი ფულით შენატანი კაპიტალში	440	–	**440**
2021 წლის 31 დეკემბერი	**500**	**(1,261)**	**(761)**

6-10 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	*2021*	*2020*
საოპერაციო საქმიანობა			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		1,273	3,044
კონტრაქტორებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(615)	(2,208)
თანამშრომლებისთვის ხელფასის სახით გადახდილი ფულადი სახსრები		(458)	(951)
სხვა წმინდა მიღებული / (გადახდილი) ფულადი სახსრები		39	(13)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		2	27
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		**241**	**(101)**
გადახდილი გადასახადები		(1)	(2)
საოპერაციო საქმიანობაში მიღებული / (გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		**240**	**(103)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
კაპიტალის გაზრდა		440	60
სესხის აღება		220	
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**640**	**60**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		–	13
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა (კლება)/ზრდა		**880**	**(30)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		–	30
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით		**880**	**–**

6-10 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ფაქტობრივი გარემოებები

შპს „ჯორჯია ჰოსპიტალიტი მენეჯმენტ გრუპ გუდაური“ (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „კომპანია“, საიდენტიფიკაციო ნომრით 429326099), დაფუძნდა 2019 წლის 5 დეკემბერს როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, დუშეთის რაიონი, სოფელი სეთურები..

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სასტუმრო და სარესტორნო მომსახურების გაწევა.

100%-იანი წილის მესაკუთრე არის შპს ჯორჯია ჰოსპიტალიტი მენეჯმენტ გრუპ გუდაური (ს/კ 404563012), კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ყაზბეგის ქ 3-5., ხოლო საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალი“, რომლის აქციები განთავსებულია ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ ლისტინგში.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანაგრიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და გააგრძელებს მოღვაწეობას მომავალში. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება დაპირებული საქონლის და მომსახურებების კლიენტებისთვის მიწოდების ასახვისთვის იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. გადაცემას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც კლიენტი მოიპოვებს კონტროლს.

კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი პასუხისმგებელი პირია მათში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ასევე სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების და საკრედიტო რისკების საფრთხის წინაშე დგას.

შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების გარკვეული კრიტერიუმები.

შემოსავალი სასტუმროსთან დაკავშირებული მომსახურებიდან

შემოსავალი სასტუმროსთან დაკავშირებული ოპერაციებიდან წარმოიქმნება სასტუმროს ნომრის და შეხვედრებისთვის განკუთვნილი ფართების იჯარიდან და საკვების და სასმელების გაყიდვიდან. შემოსავლის აღიარება ხდება კომპანიის მიერ შესასრულებელი მოვალეობის დაკმაყოფილებისას, ანუ იმ დროის მიხედვით, რომელსაც კლიენტი სასტუმროში დაყოფს და საკვებისა და სასმელების რაოდენობის საფუძველზე იმ ოდენობით, რომელიც ასახავს საზღაურს, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის საქონლის ან მომსახურების კლიენტისთვის გადაცემით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არა რეზიდენტები საქართველოში. ამგვარი მოგება დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არა საბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად საოპერაციო გადასახადების სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების სხვა ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვა და სხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შესულია ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები (ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები) აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანია წარმოადგენს ამ ინსტრუმენტების სახელშეკრულებო პირობების მონაწილე მხარეს.

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით გარიგების დანახარჯების ჩათვლით, თუ შეთანხმება თავისი არსით არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას. თუ შეთანხმება წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება მომავალი მისაღები ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი ინსტრუმენტისთვის დადგენილი საბაზრო საპროცენტო განაკვეთით აღიარების თარიღისთვის.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.
კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს იმ შემთხვევაში, თუ:

(ა) ხელშეკრულებით განსაზღვრული ფულადი სახსრები მთლიანად მიღებულია ან ვადა გასდის ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს;
(ბ) ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებლის მიღების უფლებას კომპანია სხვა მხარეს გადასცემს;
(გ) ფინანსური აქტივის კონტროლის უფლებას გადასცემს მესამე მხარეს, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის შესაძლებლობა ნებისმიერ მესამე არადაკავშირებულ მხარეზე. ამ შემთხვევაში კომპანია:
(i) წყვეტს აქტივის აღიარებას
(ii) ცალკე აღიარებს ყველა უფლებას და ვალდებულებას, რომელიც წარმოიშობა ამ აქტივის გადაცემისას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმეტესობა ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.
უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო მოთხოვნები ფასდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით. სავალუტო შემოსავალი ან ზარალი აისახება
პერიოდის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში საკურსო სხვაობით გამოწვეულ მოგებაში ან ზარალში.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულების გადახედვა, რათა მოხდეს განსაზღვრა არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. ასეთ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები

ფულადი სახსრების მუხლში შედის ფულადი სახსრები კომპანიის სალაროში, ფულადი სახსრები განთავსებული ორგანიზაციის მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებზე.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტულ საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან ხარჯებში.

საოპერაციო იჯარა

თუ კომპანია გამოდის მეიჯარედ ისეთ საიჯარო ურთიერთობაში, რომელშიც არ ხდება საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა მეიჯარისგან კომპანიაზე, მთლიანი საიჯარო გადასახადი აისახება მოგებაში ან ზარალში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

უცხოური ვალუტა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აისახება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის საქართველოს ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარში, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული მუხლები ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის გადაანგარიშდება ამ თარიღისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

თანამშრომელთა დანახარჯები და სხვა დაკავშირებული ხარჯები

თანამშრომლებზე ხელფასების, ბონუსების, დაზღვევის და სხვა ხარჯების დარიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდის მიხედვით და მოხვედრილია იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც თანამშრომლები ახორციელებენ მომსახურებას.

4. შემოსავალი სასტუმრო მომსახურებიდან

	2021	*2020*
შემოსავალი ოთახებიდან	538	1,329
შემოსავალი საკვებისა და სასმელებიდან	336	1,125
სხვა საოპერაციო შემოსავლები	72	148
სულ შემოსავლები	**946**	**2,602**

5. სასტუმრო მომსახურების ხარჯი

	2021	*2020*
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	200	625
კომუნალური ხარჯი	180	360
მარაგები	158	641
დაზღვევა	66	133
მარკეტინგის ხარჯი	32	44
მმართველობის ხარჯი	16	44
სულ სასტუმრო მომსახურების ხარჯი	**652**	**1,847**

6. სავაჭრო მოთხოვნები და სხვა აქტივები

31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები მოიცავდა შემდეგს:

	2021	*2020*
გადახდილი ავანსები	59	35
სავაჭრო მოთხოვნები	37	21
საგადასახადო ავანსები	–	121
სულ სავაჭრო მოთხოვნები და სხვა აქტივები	**96**	**177**

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები მოიცავდა შემდეგს:

	2021	*2020*
ფული ბანკში	868	–
ნაღდი ფული სალაროში	12	–
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**880**	–

8. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთია:

	2021		
	მშობელი კომპანია	*საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები*	*უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა*
ნაშთები 31 დეკემბრის მდგომარეობით			
სავაჭრო მოთხოვნები და სხვა აქტივები	2	1	–
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1	1,404	–
გარიგებები 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის			
შემოსავალი სასტუმრო მომსახურებიდან	2	53	–
იჯარის ხარჯი	–	56	–
სასტუმრო მომსახურების ხარჯი	–	96	–
სახელფასო ხარჯი	–	8	305
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	–	56	–

	2020		
	მშობელი კომპანია	*საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები*	*უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა*
ნაშთები 31 დეკემბრის მდგომარეობით			
სავაჭრო მოთხოვნები და სხვა აქტივები	8	2	–
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1	1,430	–
გარიგებები 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის			
შემოსავალი სასტუმრო მომსახურებიდან	47	54	–
იჯარის ხარჯი	–	357	–
სასტუმრო მომსახურების ხარჯი	–	204	–
სახელფასო ხარჯი	–	14	284

9. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე გაუფასურდა რუსული კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულება. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. თუმცა, ომის დაწყების შემდეგ საქართველოში რუსეთის მოქალაქეების დიდი ნაკადი შემოვიდა, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ეკონომიკაზე. წინასწარი შეფასებით 2022 წლის პირველი ნახევრის საშუალო ეკონომიკური ზრდა 10.5%-ს შეადგენდა. ვინაიდან ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, რთულია კომპანიის საქმიანობაზე მისი გავლენის სარწმუნოდ შეფასება, რადგან გაურკვეველია ეკონომიკაზე მისი გავლენის მასშტაბი. კომპანიის ხელმძღვანელობა შექმნილ ვითარებაში ეკონომიკური სიტუაციის მონიტორინგს ახდენს. კომპანია უკრაინაში მიმდინარე ომს მიიჩნევს საბალანსო უწყისის შედგენის შემდგომ მომხდარ არამაკორექტირებელ მოვლენად.

2022 წლის მარტში კომპანიამ გადაიხადა სესხი მასზე დარიცხული პროცენტით 208 ათასი ლარის ოდენობით.

2022 წლის აპრილში კომპანიამ გადაიხადა იჯარის დავალიანება 1,025 ათასი დოლარის ოდენობით.

2022 წლის 17 მაისს შეიცვალა კომპანიის დირექტორი და ამჟამად არის ბ-ნი ანდრეი ვლასოვი.

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ ლარი აშშ დოლართან მიმართებით 9.3%-ით გამყარდა.